ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ნოემბერი _____ 2022 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პარკინგსერვისისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 16-მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" და ,,კ" ქვეპუნქტების, 24-მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ------ ნოემბრის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულების №1 დანართიდან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილები) ამოღებული იქნას მე-8 (ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით, ფართობით 630.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.378), 65-ე (ფალიაშვილის ქუჩა №33 შენობის სამხრეთით, ფართობით 360.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.196) და 114-ე (ფალიაშვილის ქუჩა №29 შენობის სამხრეთით, ფართობით 210.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.386) პუნქტები."

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულების №2 დანართიდან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების სპეციალური ადგილები ტაქსებისა და სპეციალური ტრანსპორტისათვის) ამოღებული იქნას მე-3 (ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით, ფართობით 120.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.378) და 25-ე (რუსთაველის მოედნის აღმოსავლეთით, ფართობით 37.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.461) პუნქტები."

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: _____ იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პარკინგსერვისისათვის''
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში
გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე, მათ შორის, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულების დანართი №1 (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილები) და დანართი №2 (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების სპეციალური ადგილები ტაქსებისა და სპეციალური ტრანსპორტისათვის) განსაზღვრულ პარკირების ზოგიერთ ადგილზე. სამუშაოების დასრულების შემდგომ პარკირების ზოგიერთი საერთო და სპეციალური ადგილები აღარ გამოიყენება ავტოსადგომის ფუნქციური დანიშნულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განხორციელდეს მსგავსი ადგილების განკარგულების დანართი N1 და დანართი N2-დან ამოღება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში, კერძოდ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულების დანართი №1 (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილები) ამოღებული იქნას მე-8 (ფალიაშვილის ქუჩა N19-27 შენობის სამხრეთით, ფართობით 630.0 კვ.მ. ს.კ. 03.03.21.378), 65-ე (ფალიაშვილის ქუჩა N33 შენობის სამხრეთით, ფართობით 360.0 კვ.მ. 03.03.21.196) და 114-ე (ფალიაშვილის ქუჩა N29 შენობის სამხრეთით, ფართობით 210.0 კვ.მ. ს.კ. 03.03.21.386) პუნქტები."
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულების დანართი №2 (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების სპეციალური ადგილები ტაქსებისა და სპეციალური ტრანსპორტისათვის) ამოღებული იქნას მე-3 (ფალიაშვილის ქუჩა N19-27 შენობის სამხრეთით, ფართობით 120.0 კვ.მ. ს.კ. 03.03.21.378) და 25-ე (რუსთაველის მოედნის აღმოსავლეთით, ფართობით 37.0 კვ.მ. ს.კ. 03.03.21.461) პუნქტები."

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება აგრეთვე ამ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ასევე ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.'' 16-მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ,,ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით; და ,,კ'' პუნქტის შესაბამისად ,,ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პარკინგსერვისისათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი